აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №30

01/10/2020 ქ. ბათუმი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 25 სექტემბრის №27 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 25 სექტემბრის №27 განკარგულების 1.3 და 1.10 ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.3. №81 ქობულეთის, №80 ქედის, №82 შუახევის და №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლობის მსურველებმა უმაღლეს საარჩევნო კომისიას (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება) განცხადებით უნდა მიმართონ 2020 წლის 2 ოქტომბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. (მის: ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ N2, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია (განცხადების წარდგენა ასევე შესაძლებელია ელექტრონული წესით, უსკოს ოფიციალური ელ-ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: (info@sec.ge).

1.10. №81 ქობულეთის №80 ქედის, №82 შუახევის და №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში, უმაღლესი საარჩევნო კომისია ირჩევს თითო წარმომადგენელს.“

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე

სოფიო კახაძე
კომისიის მდივანი